



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 19251193

თარიღი:29/04/2025

განკარგულება №36

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 432 ერთეულ გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენებზე (ბოძი) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილების შ.პ.ს. „სქაიტელისთვის“ იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 17 აპრილის №18-1825107120 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 432 (ოთხას ოცდათორმეტი) ერთეულ გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენებზე, სოფლებში: ახალწყალი - 42 ერთეული ბოძი, ქვემო თელეთი - 124 ერთეული ბოძი, ზემო თელეთი - 55 ერთეული ბოძი, მუხრანთელეთი - 17 ერთეული ბოძი, კუმისი - 181 ერთეული ბოძი, წალასყური - 13 ერთეული ბოძი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილები, იჯარის ფორმით გადასცეს შ.პ.ს. „სქაიტელს“, ორი წლის ვადით.

მუხლი 2

საყრდენზე (ბოძი) ერთი წერტილის ყოველწლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 5 (ხუთი) ლარით, შესაბამისად 432 (ოთხას ოცდათორმეტი) საყრდენის (ბოძი) წერტილებზე ყოველწლიური საიჯარო ქირის ღირებულება შეადგენს 2160 (ორი ათას ას სამოცი) ლარს.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

